ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 25 მაისი, №10 (6447)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ერეკლე მეორის მცდელობა, საქართველოთი დაინტერესებინა დასავლეთი, უშედეგო აღმოჩნდა. ამის გამო, იგი იძულებული გახდა მზერა რუსეთისკენ მიემართა. 1783 წლის 24 ივლისს ერეკლე მეორემ და ეკატერინე დიდმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ტრაქტატს, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ეწოდა. ტრაქტატის თანახმად, ქართველი მეფეები ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ძალაუფლებას, მაგრამ რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. რუსეთმა ოფიციალურად დადებული პირობა არ შეასრულა. ეკატერინე დიდი 1796 წელს დესპოტმა იმპერატორმა პავლე პირველმა შეცვალა; 2 წლის შემდეგ, ერეკლე მეორე მისმა უმოქმედო მემკვიდრემ, საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი მეთორმეტემ (1798-1800) შეცვალა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც, 1800 წლის 28 დეკემბერს, მის შვილებსა და ძმებს შორის ტახტისთვის ბრძოლა გაიმართა. 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. 1801 წლის 15 სექტემბერს, ალექსანდრე პირველმა 1783 წლის ტრაქტატის დარღვევა ახალი საიმპერატორო მანიფესტით დაადასტურა. საქართველოს უძველესი სამეფო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრტვინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, – ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ახალი რუსეთის სათავეში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ვერ გადაწყვიტა ის კარდინალური საკითხები, რაც განსაკუთრებით აღელვებდა მოსახლეობის ფართო ფენებს: ზავის საკითხი (ქვეყანა ისევ აგრძელებდა მსოფლიო ომში მონაწილეობას), მიწის საკითხი და სხვ. ყოველივე ეს კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმა (კომუნისტებმა) ლენინის მეთაურობით და 1917 წლის ოქტომბერში დროებითი მთავრობა დაამხეს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები – მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა არ ცნეს ამ გადატრიალების კანონიერება.

რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა. 1917 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს საკუთარი მთავრობა – ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ფაქტობრივად, დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის პროცესი.

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ოთხთა კავშირთან გააფორმეს ბრესტ-

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

ქ. ყვარლის ცენტრალური, რეაბილიტირებული ქუჩები საზეიმოდ გაიხსნა

ქ. ყვარლის ცენტრალური, ილია ჭავჭავაძის და რაჭის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები აპრილის ბოლოს წარმატებით დასრულდა და მივიღეთ ევროპული დონის ულამაზესი ქუჩები, რომლებმაც ჩვენი ქალაქი ჭეშმარიტად დაამშვენეს და გაალამაზეს.

ილია ჭავჭავაძის ქუჩის 900 მეტრიან და რაჭის ქუჩის 300 მეტრიან მონაკვეთებზე ამორტიზირებული სანიაღვრე არხების ნაცვლად დახურული ტიპის სანიაღვრე არხები მოეწყო, დაიგო ორფენოვანი ასფალტი, სანიაღვრე არხების ადგილზე მოეწყო ტროტუარები და გაზონები, შეიღება ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. სულ პროექტის განხორციელებაზე დაიხარჯა 1 მილიონ 755 ათასი ლარი.

რეაბილიტაციის პროექტის იდეის ავტორი გახლავთ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზექალაშვილი, რომელმაც სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად ფინანსების გამოყოფისათვის ძალისხმევა არ დაიშურა და ყველაფერი იღონა, რათა მშენებლებს ვადაზე ადრე დაემთავრებინათ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოები ვადაზე ადრე შეასრულა კომპანია „სერპანტინმა“, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი თანამემამულე, ყვარლის უდიდესი პატრიოტი ზურაბ ფეიქრიშვილი. საგულისხმოა, რომ ეს კომპანია გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და მათ ხარისხიანად, უმაღლეს დონეზე შეასრულეს უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები.

12 მაისს აღნიშნული ქუჩების გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო რწმუნებულმა კახეთის მხარეში ირაკლი ქადაგიშვილმა, მისმა მოადგილემ გივი მეტრეველმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა, ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა, გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელებმა და საკრებულოს დეპუტატებმა, საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებმა.

კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა საზეიმოდ გახსნეს ილია ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტირებული მონაკვეთი. შემდეგ ირაკლი ქადაგიშვილმა მოსახლეობას მიულოცა განახლებული ქუჩები და ესაუბრა ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ალეკო ძაფიანიძე

ევროპის დღე ყვარლის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრით აღნიშნეს

ყოველი წლის 9 მაისს ევროპის ქვეყნები ევროპის დღეს აღნიშნავენ. ევროპის დღეები საქართველოში 2007 წლიდან იმართება. მას ნატო-სა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი საქართველოში, ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით ახორციელებს. კვირეულის ფარგლებში ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოში დაგეგმილია კულტურული და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. სწორედ ამ ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის და ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული პროგრამების გაცნობას. შეხვედრაზე ნატოსა და ევროკავშირის როლზე ისაუბრა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის

მოადგილემ გიორგი ფარეშიშვილმა. ვრცლად ისაუბრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ არჩილ ყარაულაშვილმა. შეხვედრაზე განიხილეს ევროპული ღირებულებები, უვიზო მიმოსვლის საკითხები, საქართველოსთვის ევროინტეგრაციის მნიშვნელობა და ამ პროცესის მიმდინარეობა.

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ლიტოვსკის ზავი, რომლის ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებდა ორი ქართული (ბათუმი და არდაღანი) და ერთი სომხური (ყარსი) ოლქის თურქეთისთვის გადაცემას. კავკასიელმა ხალხებმა, რა თქმა უნდა, არ აღიარეს ეს შეთანხმება და 1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის რუსეთისგან გამოყოფა და საქართველოს, სომხეთისა და აზებაიჯანის შემადგენლობით ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს, ცენტრით თბილისში. ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია სამი კავკასიელი ხალხის ისტორიაში. ახლადშექმნილი რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა მრავალპარტიული შემადგენლობის სეიმი, რომლის თავჯდომარედ აირჩიეს ქართველი სოციალ-დემოკრატი ნ. ჩხეიძე. მისი მოადგილეები იყვნენ სომხური და აზერბაიჯანული პარტიების წარმომადგენლები.

რევოლუციის დაწყების დღიდან, განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, დაიწყო კავკასიის ფრონტზე თურქებთან მებრძოლი რუსეთის არმიის დაშლა. ჯარისკაცებმა ოფიცერთა დიდი ნაწილის ამოხოცვის, აღჭურვილობისა და იარაღის თურქებისთვის მიყიდვის შემდეგ დატოვეს ფრონტი და რუსეთში დაბრუნება დაიწყეს. საქართველო და სომხეთი თითქმის მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა ძლიერი თურქეთის პირისპირ. რუსეთის ჯარში გაწვეული 200 000 ქართველიდან საქართველოში მხოლოდ 15000-დან 18000-მდე სამხედრო მსახურობდა; დანარჩენები გერმანიისა და ავსტრიის ფრონტზე რჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიელებმა, ყოველ შემთხვევაში – ქართველებმა და სომხებმა მაინც – გადაწყვიტეს, წინ აღდგომოდნენ თურქეთის წინსვლას. როგორც კი თურქეთის ჯარები საქართველოს და სომხეთის ჯარებს წააწყდნენ, გაჩაღდა ბრძოლა. მაგრამ ეს ბრძოლა დასაწყისშივე განწირული იყო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის მესამე წევრმა, აზერბაიჯანმა, რომელიც თურქების მონათესავე ხალხით არის დასახლებული და მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებს, თურქეთის მხარე დაიჭირა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა – დამოუკიდებლობა. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა. აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!. .

ქართველებმა და სომხებმა ორიენტაცია გერმანიაზე აიღეს, რათა მას გავლენა მოეხდინა თავის მოკავშირეზე. მართლაც, გერმანიის ჩარევის წყალობით საქართველო გადაურჩა თურქულ ოკუპაციას. თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით.

ცხოვრებამ უჩვენა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი იყო. მან ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაიშალა.

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელის ა. ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის, აღწერდა რა მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას, ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას.

1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ოფიციალურად აღიარა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება. იმავე დღის საღამოს კი შედგა საქართველოს „ეროვნული საბჭოს“ სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამაზე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

შემდეგი ორი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც კერძოდ, ნათქვამი იყო:, , მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო მტრისაგან დაეცვა. „რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. „დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკაკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. „ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა–საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო

ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისს აღდგა 117 წლის წინ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართველი ხალხი ამ ფაქტს საყოველთაო ზეიმით შეეგება. ეს ისტორიული მოვლენა XIX – XX ს-ის დამდეგის საქართველოს ეროვნულ — და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო. 26 მაისი საქართველოში დღესაც აღინიშნება, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.

ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების განყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მოშლილი იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით ჭირდა სურსათი. ხელისუფლებას კი დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არ გააჩნდა არავითარი თანხები მყარ ვალუტაში.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის რეკონსტრუქციისკენ და ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა, რაც არცთუ ისე ადვილი იყო. საქართველოს ახალ მთავრობას ოთხი წლის მანძილზე ომის, რევოლუციის, კონტრრევოლუციის, სამოქალაქო ომის, ანარქიის, ეროვნული ვალუტის დაცემის და ეკონომიკური კრიზისის, რევოლუციის შედეგად რეგიონებში დეზერტირებისა და კრიმინალთა თარეშის გადატანა მოუხდა. ამ პირობების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა და მათმა ლიდერებმა გასაოცარ წარმატებას მიაღწიეს და პოლიტიკური და ეროვნული სიმწიფე გამოავლინეს.

მთავრობამ მუშაობა დაიწყო ეროვნული გვარდიის შექმნით, რომელმაც მცირე დროში დაამყარა წესრიგი რეგიონებში. წესრიგის დამყარებისა და ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების შემდეგ, ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელი კრების, ანუ პირველი პარლამენტის არჩევნებისთვის მზადება დაისახა მიზნად. არჩევნები გაიმართა 1919 წლის თებერვალში, პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე – შეიძლება ითქვას, ყველაზე დემოკრატიული სახით. ხმის მიცემის უფლება მიენიჭა რესპუბლიკის ყველა 20 წლის და უფროს მოქალაქეს, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა. არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა დაახლოებით 77% მიიღო, ზოგიერთ უბანში მათი რაოდენობა 80% შეადგენდა. არჩევნების შედეგად, დამფუძნებელი კრება შემდეგნაირად დაკომპლექტდა: სოციალ-დემოკრატები – 103 ადგილი; ეროვნულ-დემოკრატები – 11 ადგილი, ფედერალისტები – 8 ადგილი; სოციალური რევოლუციონერები – 5 ადგილი; სომეხი „დაშნაკების“ პარტია – 3 ადგილი. კომუნისტებმა ერთი ადგილიც კი ვერ მოიპოვეს, რადგან ხმათა ერთ პროცენტზე ნაკლები მიიღეს. კრების წევრები იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები. გარდა ქართველებისა 130 წევრიან კრებაში წარმოდგენილი იყვნენ უმცირესობებიც, კერძოდ: სომხები (10), აზერბაიჯანელები (4), რუსები (2), ებრაელები (2), ბერძნები (1), გერმანელები (1) .

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ გლეხებიც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო:

მთავრობის თავმჯდომარე – ნოე რამიშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი.

შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი.

სამხედრო საქმეთა მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე.

ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული.

იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი.

სახალხო განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი.

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი.

მიმოსვლის გზების მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე.

დამფუძნებელი კრების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება. ამ დავალების შესრულება საგანგებო კომიტეტს მიანდეს.

საქართველოს კონსტიტუცია საბოლოო ფორმით მიიღეს 1921 წლის 22 თებერვალს. კონსტიტუცია ეფუძნებოდა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მოდელებს, რაც საქართველოს წარმოაჩენდა დემოკრატიულ ქვეყნად, ამ ცნების საუკეთესო გაგებით.

საბჭოთა რუსეთიცა და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან. ისინი საქართველოს საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას. ერთადერთი გამონაკლისი იყო არგენტინა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა 1919 წლის 13 სექტემბერს.

საქართველოს მთავრობამ ამ თხოვნით მიმართა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც თვით რუსეთმა, ორ ქვეყანას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დე-იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს: 1920 წლის 24 სექტემბერს – გერმანიამ; 1921 წლის 27 იანვარს – ბელგიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ; 1921 წლის 28 იანვარს – პოლონეთმა; 1921 წლის 17 თებერვალს – ავსტრიამ; 1921 წლის 18 თებერვალს – რუმინეთმა; 1921 წლის 23 თებერვალს – ლუქსემბურგმა; 1921 წლის 14 აპრილს – მექსიკამ. 1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანას პირველ ხანებში არ ცნობდა რუსული „თეთრი მოძრაობა“, რომელიც გამოდიოდა „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის ლოზუნგით. მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე სასაზღვრო საკითხები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული კამათი ჰქონდა აზერბაიჯანთან ზაქათალის ოლქის გამო. სომხეთის რესპუბლიკა კი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოს სამხრეთ რაიონებზე, სადაც მოსახლეობის ნაწილი სომხური იყო. 1918 წლის დეკემბერში სომხეთის ჯარები მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში, მაგრამ მოგერიებულნი იქნენ. ამიერკავკასიაში ინგლისური სარდლობის ჩარევით საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილი იქნა. სადავო ოლქის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა ე. წ. „ნეიტრალური ზონა“ შერეული ქართულ-სომხური ადმინისტრაციით. საქართველოს სრული იურისდიქცია ამ კუთხეში მხოლოდ 1920 წლის ნოემბერში აღდგა. 1918 – 1920 წლებში ლოკალური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთელი ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე და სხვა რეგიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს. ამ გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტების აგიტაციით იყო გამოწვეული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველაზე ძნელი პირველი პერიოდის სირთულეები მთლიანობაში დაძლეული იქნა. 1920 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში უკვე აშკარად შეიმჩნევა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ნიშნები. საქართველოს დაუბრუნდა ბათუმის ოლქი, რომელიც თურქეთის მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ერთ ხანს ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული. აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურა. თბილისში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები – უნივერსიტეტი და კონსერვატორია. შეიძლება ითქვას, რომ თუ არა ახალი ინტერვენცია და ანექსია საქართველო თავს დააღწევდა კრიზისს და გააგრძელებდა დამოუკიდებელი განვითარების გზას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომუნისტებმა 1920 წლისათვის რუსეთში გაანადგურეს კონტრრევოლუციის მთავარი ძალები და შეუდგნენ იმპერიის ყოველი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას. იმავე წელს მათ ძალით გააასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ასე რომ 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით უკვე საბჭოთა რესპუბლიკების ალყაში იყო. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ჰყავდა მეზობლად ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკა.

როგორც ზემოდ აღინიშნა, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებობდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა აღიარა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ იკისრა თავის ტერიტორიაზე კომუნისტებისათვის ლეგალური მუშაობის შესაძლებლობის მიცემა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს ჭირდებოდა მხოლოდ ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად და საქართველოში თავისი აგენტურისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საქართველოსათვის მეტად ნეგატიური როლი შეასრულეს მაღალ თანამდებობებზე მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა – ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ და სხვ.

1921 წლის 12 თებერვალს სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში კომუნისტებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა“ დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ. მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფება – მეთერთმეტე არმია – უტევდა თბილისს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან. გარდა ამისა, ცალკეულმა შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა იერიში მოიტანეს აფხაზეთსა და ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელებზე. წითელი არმია თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, ბუდიონის და ჟლობის კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის არმიამ დაიკავა თბილისი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების დროს შეტაკებაში 30 იუნკერი დაიღუპა. ისინი რუსთაველის გამზირზე, დღევანდელ პარლამენტის შენობასთან დაკრძალეს.

ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ მოახერხა ჭეშმარიტი საერთო-სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

ბლიც ინტერვიუ პოეტ ლია გიგიტაშვილთან

როცა მარტო ვრჩები ჩემს თავთან

– ჩემი აისი ...

– ჩემი ბავშვობა, ჩემი გაზაფხულები ...

წელიწადის დროები, ადამიანთა სახელები, თავიანთი განსაკუთრებული ფერებით და სურნელებით ...

– ყველაზე სასიხარულო დღე ჩემს ცხოვრებაში.

– როცა თსუ-ში ჩარიცხულ სტუდენტთა სიაში ჩემი სახელი და გვარი აღმოვაჩინე ...

– ჩემი პირველი სამუშაო დღე ...

– 17 წლის ასაკში, როცა ყვარლის რაიონის სტამბის შენობის კარი შევაღე, ეს იყო დაუვიწყარი ემოციების დღე; ქართული შრიფტის ნაირსახეობასთან ზიარება; მეტალისა და საღებავის სურნელი, რამაც შემაყვარა ბეჭდვითი სიტყვა.

– პოეზია ჩემთვის ...

– სულის ხმა – რითმაში, რიტმში, ალეგორიებში ამეტყველებული; მონათესავე სულებთან ურთიერთობის ნატიფი გზა და საშუალება.

– როცა კეთილ საქმეს ვაკეთებ.

– ვგრძნობ პასუხისმგებლობას და დიდ სიამოვნებას ვიღებ ამ საქმით ...

– ის, რასაც ჩემს თავს დღემდე ვერ ვპატიობ.

– უყურადღებობას და დაუდევრობას, რაც კი ოდესმე გამომიჩენია გარშემომყოფებთან.

– დღე, რომელმაც სიხარული სინანულად შემიცვალა ...

– ბავშვობაში, როცა ჩემი დაბადების დღის გატარება მხოლოდ უფროსების წრეში მომიხდა, თანატოლების გარეშე ...

– მეგობარი, რომელიც მღალატობს.

– ასეთი მეგობარი არ მყავს.

– როცა დაუმსახურებლად გაწყენინებენ, ან ფარულად გმტრობენ.

– საწყენი ყოველთვის მწყინს, ფარული მტრები მებრალებიან და არ მესმის მათი.

– რომ არა მტრობა.

– ამქვეყნიურ სამოთხეში ვიცხოვრებდით.

– შიში, რომელიც სიკვდილს ვერ იხსნის.

– ჩემი მოხუცებული მშობლების გარდაცვალების შიში ...

– „რასაც აღრა ეშველება რა“...

– უფალს ვთხოვ, მომმადლოს სიმშვიდე, რომ შევეგუო იმას, რისი შეცვლაც არ შემიძლია.

– ტკივილი, რომელსაც გულით ვატარებ.

– დედაჩემის უსინათლობით გამოწვეული უმწეობის ტკივილი; ჩემი ახლობლების წარუმატებლობის ტკივილი, ნებისმიერი უსამართლობით გამოწვეული ტკივილი ...

– მუსიკა ჩემთვის.

– რელაქსაციის საშუალება, განტვირთვა, განწყობა, ჰარმონია.

– პოეზია ჩემთვის.

– სულის ხმა – რითმებში, რიტმაში, ალეგორიებში ამეტყველებული; მონათესავე სულებთან ურთიერთობის საუკეთესო გზა ...

– რომ არა კეთილი ადამიანები.

– კაცობრიობა დიდი ხნის გადაშენებული იქნებოდა.

– როცა მიყვარს.

– ძალ-ღონეს არ ვიშურებ მისთვის.

– ჩემი საყვარელი მწერალი; (კომპოზიტორი).

– გურამ დოჩანაშვილი; კომპოზიტორი გია ყანჩელი.

– ჩემი შუადღე.

– ბევრი საზრუნავი; განცდა, თანაგრძნობა, ჩემი დღევანდელობა – როცა გარშემო ყველას ვჭირდები და არ მაქვს შეუძლოდ ყოფნის უფლება.

– როცა მარტო ვრჩები ჩემს თავთან.

– ვფიქრობ იმაზე, რამდენად ვახერხებ ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავებას.

– ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი.

– ძვირფასი ადამიანები... შვილები; მეუღლე, მშობლები ...

– ნატვრა, რომელიც ვერ ამიხდა ცხოვრებაში.

– მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა.

– ვჩუმდები როცა ...

– აზრი არ აქვს საუბარს გარკვეულ საზოგადოებაში.

– ჩემი ყველაზე სასურველი ოცნება.

– ჩემი შვილების ბედნიერება და წარმატება.

გმადლობთ.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

დასაწყისი 2-ელ გვ.-ზე

გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არტაანის დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, ხოლო ქალაქში დარჩენილმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ბათუმი შეინარჩუნეს. თურქების უკანდახევის შემდეგ ბათუმში რუსები შეიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ცენტრებში უკვე საჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არტაანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება და განახორციელა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებულ იქნა 1921 წლის 21 მაისის ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა იურიდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სინამდვილეს.

საქართველო იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირში. დამოკიდებლობაწართმეული ქვეყანა 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას.

დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს თბილისში ეწყობა მშვიდობიანი აქციები. საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის მოთხოვნით 1989 წლის აპრილში თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციები ეწყობოდა. მშვიდობიანი მიტინგი 9 აპრილს, გამთენიისას სასტიკად დაარბია საბჭოთა არმიამ, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგედიის მიუხედავად, ბრძოლა ქვეყნისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოსაპოვებლად მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. ამავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი საბჭოს პირველ სესიაზე ძალაში შევიდა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადეგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისაკენ. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება“.

1991 წლის 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგაც საქართველოს მოსახლეობის 87% საყოველთაო და დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩია ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

1991 წლიდან მოყოლებული 26 მაისს ქვეყნის მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს.

წყარო:
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე

მილოცვები

ბატონ ვახტანგ მეტრეველს!

ჩვენო ერთადერთო და განუმეორებელო მეგობარო ვახტანგ, გილოცავთ დაბადების დღეს. პირველ რიგში გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, სიკეთეს, სიხარულს შენს შვილებთან და მეუღლესთან ერთად.

მეგობრები

ბატონ ტარიელ გრატიაშვილს!

ძვირფასო მეგობარო, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს ახლობელ ადამიანებთან ერთად.

მეგობრები

წიგნის კვირეული საქველმოქმედო კავშირ-„თემში“

„უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“ /ი.ჭავჭავაძე/

სწორედ წიგნს მიეძღვნა მიმდინარე წლის 28 აპრილიდან 5 მაისამდე საბიბლიოთეკო გაერთიანების ბიბლიოთეკებში ჩატარებული წიგნის კვირეული.

კვირეულის განმავლობაში ბიბლიოთეკებში მოეწყო სხვადასხვა მწერლების, პოეტების წიგნების თემატური გამოფენები, ჩატარდა სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები, გაკეთდა პლაკატი-რეკლამა — „თქვენი ბიბლიოთეკა“.

ჯერ კიდევ თავის დროზე პოეტი გიორგი კაჭახიძე აღნიშნავდა, რომ

„ცოდნა ჩემი ძალ-ღონეა,
სიხარული — წიგნის კითხვა,
ბევრი კარგი, ბევრი ავი
წიგნით ვიცი, წიგნმა მითხრა“.

წიგნის სიყვარულმა განაპირობა ის, რომ შილდის ბიბლიოთეკის მკითხველებმა (ბიბლიოთეკარი გ. გელაშვილი) 24 აპრილს მაღალ დონეზე ჩაატარეს პოეზიის საღამო თემაზე: „სხვა საქართველო სად არის?“ მათ თავი მოუყარეს ყველა დროის პოეტთა ლექსებს და მკითხველებმა მათი საშუალებით სულხან-საბას მაგალითებზე კარგად დააკავშირეს „ევროკავშირთან“ საქართველოს ურთიერთობა.

ერის დასაწყისი ღრმაშინაარსიანად წარმოაჩინეს მერი ასაბაშვილმა და ბექა ურჯუკელაშვილმა. მხატვრულად წაიკითხეს აკ. წერეთლის, მუხრან მაჭავარიანის, ლადო ასათიანის, იოსებ ნონეშვილის და სხვათა ლექსები ლიზი აღნიაშვილმა, ლალი ლეკიაშვილმა, მარიამ გოგიაშვილმა, ნინო ტუგუნიძემ და სხვებმა.

28 აპრილს კი ახალსოფლის ბიბლიოთეკის მკითხველებმა (ბიბლიოთეკარი ლ. წმინდაშვილი) ჩვენი ერის სასიქადულო მამულიშვილს, პოეტს, მწერალს და დიდ საზოგადო მოღვაწეს მიუძღვნეს ლიტერატურული საღამო თემაზე: „მეტი ჯილდო რაღად გვინდა, თუ ვსჭვრეტთ მამულს გაფურჩქვნილსა“. (ი.ჭავჭავაძე).

საზეიმო განწყობილება სუფევდა ბიბილიოთეკის დარბაზში. მაიკო და მიშიკო მინდიაშვილებმა დაწვრილებით ისაუბრეს დიდი ილიას ბიოგრაფიის შესახებ. მაღალ მხატვრულ დონეზე წარმოაჩინეს ილიას შემოქმედება ეთი ნადირაძემ, მარიამ თვალიაშვილმა და ეკა ვარდიაშვილმა.

ლექსის წაკითხვაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ მკითხველები: აკაკი თვალიაშვილი, სალომე გულაშვილი, ანი პავლიაშვილი, თამარი დათუნაშვილი, თათია სვიმონიშვილი, ნინი ლაზარიშვილი, დათო თავბერიძე, მარიამ ჯამალაშვილი, ნიკა მამნიაშვილი, სალომე ჭაბაშვილი, ქეთი ჯავახიშვილი, ქეთი მახათაძე და მეგი ფხოველიშვილი.

ლიტერატურული საღამოს მონაწილეებმა გიორგი ალადაშვილმა, ამიკო ბერიანიძემ, მარიამ ჭელიძემ და თამარ კურტანიძემ შეასრულეს ცეკვები: „რაჭული“ და „მთიულური“, რისთვისაც დიდი მადლობა ქორეოგრაფ მარიეტა არჩუაშვილს.

წიგნის კვირეულის პერიოდში დიდი სამზადისი იყო საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში.

ბავშვთა განყოფილებაში მოეწყო სხვადასხვა მწერალთა წიგნების გამოფენები. საჯარო სკოლების მოსწავლეებთან გაიმართა დისპუტები და კითხვა-პასუხის საღამოები თემებზე: „როგორ იწერება წიგნები ბავშვთა აღსაზრდელად და რამდენად წყდება მათით ადამიანის ბედი, რომ წიგნის სიყვარული სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს, რომ წიგნი ადამიანთა საუკეთესო მრჩეველია, რომ წიგნის მოყვარული ადამიანი არასოდეს არ არის მარტო, რომ წიგნი მართლაც უდიდესი სიხარულია, რომ წიგნი ადამიანთა საუკეთესო მეგობარია“ და სხვა.

მთავარმა ბიბლიოთეკამ წიგნის კვირეულის ბოლო დღე გადაწყვიტა ჩაეტარებინა გრემის საქველმოქმედო კავშირში — „თემი“ თემაზე: „ერთი დღე საქველმოქმედო თემში მცხოვრებლებთან“.

3 მაისს ვეწვიეთ მათ და მათთან ერთად ვისაუბრეთ ბიბლიოთეკის და წიგნის დანიშნულებაზე, როგორც ანატოლ ფრანსი იტყოდა: „მოდით ბიბლიოთეკაში, ცოდნის სამფლობელოში, ნუ შეგეშინდებათ მეცნიერების თვალუწვდენი სამფლობელოებისა“.

თემის ბინადართ ხელდამშვენებული შეხვდა მთავარი ბიბლიოთეკის კოლექტივი, გადავეცით დიდი რაოდენობით საჩუქრები. სკოლის მოსწავლეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ მათ მიიღეს 70-მდე დასახელების მხატვრული ლიტერატურა. ღონისძიების ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია კულტურის სახლთან არსებულმა თოჯინების თეატრის კოლექტივმა, რომელთაც ბავშვებს უჩვენეს — „ტყის კვარტეტი“ და სიამოვნება მიანიჭეს მათ.

მაყურებელმა აღფრთოვანება ვერ დაფარა ბავშვთა სანიმუშო-სახალხო ანსამბლ „ყვარელის“ მოცეკვავეების — ნატო ღონიაშვილის, ნინი სამიტაშვილის და ლალი ჯაფოშვილის მიერ შესრულებული ცეკვით — „სამაია“. თანადგომისათვის გულითადი მადლობა კულტურის სახლის ყველა თანამშრომელს.

წიგნის კვირეულის ჩატარებაში შეტანილი წვლილისათვის მთავარი ბიბლიოთეკა დიდ მადლობას უხდის ყვარლის საბავშვო ბაგა-ბაღ „გვირილას“ თანამშრომლებს (გამგე მაია ქაქალაშვილი), ქ. ყვარელში მცხოვრებ მარინა ჭერაშვილს და სხვებს.

დიდი მადლობა ბატონ ზურაბ ლუარსაბიშვილს, ქალბატონ თინა შილდელაშვილს, მათ თვითეულ თანამშრომელს, რომლებიც დაუღალავ შრომას ეწევიან „თემში“ მცხოვრებთა მომსახურებისთვის, მადლობა მათ აგრეთვე ჩვენი გულთბილი მასპინძლობისთვის.

წიგნის კვირეულის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებაში დახმარებისათვის დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეების მოადგილეს, ქალბატონ ქეთევან ზაუტაშვილს და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს ბატონ თორნიკე მოლაშვილს.

მზია აბესაძე,
ყვარლის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების გამგე

საინტერესო რჩევები მოგზაურობისთვის და დასვენებისთვის

ახლოვდება აქტიური სეზონი მოგზაურობისთვის და დასვენებისთვის. ამისათვის თადარიგის დაჭერა აქედანვე გვმართებს.მითუმეტეს, რომ ამ დროს ბევრი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ წინასწარ.

ალბათ ხშირად გვიოცნებია, თუ როგორ გავატარებდით შვებულებას ზღვის სანაპიროზე სეირნობით, თქვენთვის უცნობი ქალაქის ან ქვეყნის ღირშესანიშნაობების დათვალიერებით, ცურვითა და რუჯის მიღებით. მაგრამ იმისათვის, რომ შვებულება ასეთი გამოვიდეს როგორსაც თქვენს ოცნებებში ხედავთ, საჭიროა კარგად მომზადება და ყველაფრის დაგეგმვა.

რათქმაუნდა, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ შვებულების დაგეგმვისას ეს არის – შევარჩიოთ გასამგზავრებელი ადგილი. საბოლოო წერტილის ცოდნით შეძლებთ ტრანსპორტისა და ტანსაცმლის შერჩევასაც კი. გაიგეთ რაც შეიძლება მეტი იმ ადგილის შესახებ, სადაც აპირებთ დასვენებას. დაინტერესდით კლიმატით, რათა არ მოხვდეთ წვიმიან პერიოდში.

იმ შემთხვევაში თუ საზღვარგარეთ აპირებთ გამგზავრებას. მისი მიღების პირობები შეგიძლიათ იხილოთ თქვენს მიერ არჩეული ქვეყნის წარმომადგენლობის საიტზე ან საკონსულოში. წინასწარ ჩაეწერეთ მიღებაზე, რათა არ ხარჯოთ დრო რიგში დგომაში. რათქმაუნდა, ამ საკითხში თვითნებურად გარკვევა საკმაოდ რთულია, ვიდრე საქმის ტუროპერატორისათვის მინდობა. მაგრამ ეს გამოცდილება აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ სხვა დროსაც დააპირებთ საკუთარი შვებულების დამოუკიდებლად დაგეგმვას. გარდა ამისა, ვიზის მიღება ტუროპერატორის გარეშე საგრძნობლად ნაკლები თანხა დაგიჯდებათ.

არ ღირს მისი შეძენა ნაკლებადცნობილ კომპანიებში. ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად ავიაბილეთები შეიძინეთ ავიაკომპანიების საიტზე – ეს ასევე დაგეხმარებათ ფულის ეკონომიაში. ბილეთების საკითხის წინასწარ მოგვარებით თქვენ არ მოგიწევთ თავისუფალი რეისების ძებნა მაშინ, როცა გამგზავრებამდე ცოტა დრო იქნება დარჩენილი.

ეს ძალიან მარტივი გასაკეთებელია ინტერნეტის საშუალებით. თქვენ შეგიძლიათ იქიროთ ოთახი კომფორტულ სასტუმროში ან უბრალო მაცხოვრებლებთან, რომლებიც სახლის გაქირავებით შოულობენ ფულს. ასევე გასარკვევია სასტუმროს კვების სისტემა. დაფიქრდით, რამდენ დროს გაატარებთ თქვენს დროებით საცხოვრებელში. იმ შემთხვევაში, თუ სახლიდან გახვალთ დილით ადრე და შემოხვალთ გვიან ღამით, მაშინ ჯობს უარი თქვათ სასტუმროს კვებაზე.

ჩამოყალიბდით, რას ელით დასვენებისგან: პლაჟზე დიდხანს წოლას, სპორტის ახალი სახეობის შესწავლას, ცნობილი ღირშესანიშნაობების ნახვას თუ სხვა. მოგზაურობის გეგმის შედგენა საჭიროა თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე. იდეალური ვარიანტია – პლაჟის და აქტიური დასვენების სახეობების შეთავსება. შეეცადეთ გაანაწილოთ დრო ისე, რომ ყველაფერზე გეყოთ დრო და ენერგია.

ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია. რადგან თქვენ უკვე დაინტერესდით იმ ადგილის კლიმატით, სადაც გაატარებთ შვებულებას, შეეცადეთ არ წაიღოთ თან ზედმეტი ნივთები. გახსოვდეთ, რომ სავარაუდოდ კურორტზე მოგინდებათ ახალი ნივთების შეძენა. სწორად გაანაწილეთ თქვენი ფინანსები, რათა ფული გეყოთ მოგზაურობის ბოლო დღემდე. გადადეთ ცოტაოდენი თანხა მეგობრებისა და ახლობლებისთვის საყიდელი სუვენირებისათვის. მთავარია არ დაგავიწყდეთ თან წაიღოთ კარგი განწყობა და მაშინ მოგონებები მოგზაურობის შესახებ გაგათბობთ შემდეგ სეზონამდე.

როგორ ვიმოგზაუროთ ევროპაში უვიზოდ

ევროპარლამენტმა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მიცემას მხარი დაუჭირა და აპრილიდან ჩვენი ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ბიომეტრიულ პასპორტებს ფლობენ, საშუალება ექნებათ შენგენის ზონაში უვიზოდ იმოგზაურონ. შენგენის ტერიტორია ევროკავშირის 22 წევრს, ოთხ არაწევრსა და შენგენის ოთხ კანდიდატ ქვეყანას გულისხმობს. გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ხორვატია, კვიპროსი, რუმინეთი და ბულგარეთი. სავიზო ლიბერალიზაცია ევროკავშირის ქვეყნებში 90 დღის პერიოდით უვიზო მოგზაურობას, მკურნალობას, სამეცნიერო კონფერენციებზე ან სემინარებზე ვიზიტებს, სწავლას გულისხმობს. თუ მოქალაქეს 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში უნევს ევროპის ქვეყნებში ყოფნა, მან იმავე წესით უნდა იხელმძღვანელოს ვიზით სარგებლობისას, როგორც აქამდე.

rogor.je გთავაზობთ ინსტურქციას, თუ როგორ ვიმოგზაუროთ და რა წესებით ვიხელმძღვანელოთ, რა დოკუმენტაცია გვჭირდება ევროკავშირის ქვეყნებში მიმოსვლის დროს.

საზღვრის გადაკვეთისას, მოქალაქემ თან უნდა იქონიოს ბიომეტრიული პასპორტი და ჰქონდეს მოგზაურობის მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი. სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა შესაძლებელია მოგთხოვოთ შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა: უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი; სასტუმროს ჯავშანი; სამოგზაურო დაზღვევა; მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი; (თანხა ნაღდი სახით, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები, გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.);იმ ღონისძიების/კონფერენციის,სემინარის მოწვევა/პროგრამა,რომელშიც მონაწილეობთ; სასტუმროს ჯავშანი; სამოგზაურო დაზღვევა და უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მიმღები პირის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.); იმ პირის ბინადრობის ნებართვის ან შესაბამის ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი, რომლის მოსანახულებლადაც მიემგზავრებით; სამოგზაურო დაზღვევა, უკან დასაბრუნებელი ბილეთი და მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმ სამედიცინო დაწესებულების თანხმობა, რომელშიც გეგმავთ მკურნალობას ან/და საქართველოს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაცია, ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა ევროკავშირის წევრ-ქვეყანაში; სამედიცინო დაზღვევა მგზავრობის მთელი პერიოდისთვის; მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი და უკან დასაბრუნებელი ბილეთი.

ქვეყანაში 90-დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და ასეთი პირი დაექვემდებარება რეადმისიას (საქართველოში დაბრუნებას). ამასთან, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა ხუთ წლამდე პერიოდით. ალტერნატივის სახით, შესაძლოა გამოყენებული იქნას ადმინისტრაციული ზომები/ჯარიმა 3000 ევრომდე ოდენობით. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონდამრღვევს აეკრძალება შესვლა შესაბამის ქვეყანაში, ან შენგენის ტერიტორიაზე;

როგორ ვიგრძნოთ უკეთ თავი თვითმფრინავით მგზავრობისას

თვითმფრინავით მგზავრობა – ყოველთვის სტრესია ორგანიზმისათვის. თუ მოვემზადებით სათანადოდ ფრენისათვის ჩვენ შეგვიძლია მინიმუმამდე დავიყვანოთ ის. დაუთმეთ თავს სულ ცოტა დრო და ყურადღება, შეიქმენით კარგი განწყობა და შეგრძნებები ფრენისას, ასევე შეინარჩუნეთ შრომისუნარიანობა ფრენის შემდეგ.

1. შეარჩიეთ ისეთი ავიაკომპანია, რომელიც სარგებლობს ნდობით და გამოცდილი გაქვთ თქვენ ან თქვენს ახლობელს. გირჩევთ, რომ ხანგრძლივი ფრენის შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭოთ უცხოურ ავიაკომპანიებს. თუ თქვენ ცუდად იტანთ თვითფრინავით ფრენას, ნუ ისარგებლებთ ჩარტერული რეისებით, განსაკუთრებით ცხელ სეზონში.

2. სწორად შეარჩიეთ ადგილი თვითმფრინავში. ხანგრძლივი, საკონტინენტთაშორისო ფრენებისას აირჩიეთ ადგილი ბიზნესს კლასში – იქ ბევრად კომფორტულია მგზავრობა. თუ თქვენ არ გაქვთ ამის საშუალება ითხოვეთ ადგილი თვითფრინავის შესასვლელთან სადაც გაცილებით მეტი არის ადგილი და დაცილება სავარძლებს შორის. თუ თქვენ მოგწონთ ფანჯარაში ყურება, შეარჩიეთ ადგილი ილუმუნატორთან, ხოლო ვისაც უყვარს ფრენისას ფეხების გამართვა, უმჯობესია ადგილი დაიკავოს გასასვლელთან.

3. გამოიყენეთ გასაბერი ბალიში ძილისათვის, დაიდეთ ის თავქვეშ. უკეთესია, რომ სახლიდან წამოიღოთ პალანტინი და ის გადაიფაროთ რათა უკეთ იგრძნოთ თავი, თვითმფრინავის გადასაფარებელი პლედები უხეშია შედარებით და იჩხვლიტება. ასევე თან წაიღეთ პატარა ჩანთაში მოათავსეთ არომატული სტიკები, ლავანდისა და მენთოლის, ისინი მოგიხსნიან ღებინების შეგრძნებას ფრენისას.

4. ფრენამდე ჭამეთ სახლში – სასურველია ჯანსაღი საკვები მიიღოთ, როგორიცაა სუპი. ფრენისას გირჩევთ, რომ არ ჭამოთ არაფერი – თვითფრინავის საჭმელი თქვენ არ მოგცემთ არაფერს გარდა ცარიელი კალორიებისა. სასმელის შერჩევისას არჩევანი გააკეთეთ სუფთა, მინერალურ წყალზე ან ტომატის წვენზე. არ დალიოთ ყავა, კოლა და სხვა გაზიანი სასმელები – ისინი პროვოცირებას უკეთებენ ღებინებას. ასევე გაითვალისწინეთ, რომ სითხეზე უარის თქმა არ არის კარგი – თვითფრინავში ძალიან მშრალი ჰაერია.

5. დალიეთ ნატურალური წვენი ყინულით – ისინი მოგიხსნიან დაგუბებას ყურებში და ასევე ყურადღებას გადაგატანინებენ ცუდი შეგძნებებისგან. ფრენის წინ მიიღეთ 1 ტაბლები ასპირინი, გახსნილი წყალში. ის დაგეხმარებათ, რომ აგაცილოთ თავბრუსხვევა და ასევე დაგიცვათ წნევის უეცარი ცვალებადობისგან.

6. სავარძელში მოთავსებისას გაიმართეთ და გამართეთ სხეული. გირჩევთ, რომ ჩაიცვათ კომფორტული წინდები (ნასკები) რათა თავი კარგად იგრძნოთ, მოერიდეთ ხელოვნურ ნასკებს. ნუ ჩაიცმევთ მოტკეცილ ტანსაცმელს, ნურც საქმიან კოსტუმებს თუ ეს არის შესაძლებელი. გირჩევნით რამოდენიმე ფენიანი ტრიკოტაჟის ტანსაცმელი გამოიტენოთ, ასე ბევრად კომფორტული იქნება.

7. არ დაგავიწყდეთ საინტერესო წიგნის თან წაღება, ან ელექტრონული წამკითხველის. მოუსმინეთ მუსიკას ან უყურეთ ფილმს. ბევრს არ გამოსდის ფრენისას ძილი, ხოლო უსაქმურობის დრო რამით უნდა იყოს გაყვანილი. თუ ვერ ისვენებთ და არც არაფრის კეთების ხასიათზე ხართ, მიირთვით ცოტა ღვინო ან კონიაკი, ეს დაგეხმარებათ მოდუნებაში.

თუ ლაშქრობაში წასვლა გადავწყვიტეთ

ის ვინც ლაშქრობაში პირველად მიდის, აუცილებლად მოუწევს იმაზე ფიქრი თუ რა შეიძლება მას დაჭირდეს და პრობლემები შეიძლება შეექმნას მსვლელობის დროს. ბუნებრივია თუ გაგიჩნდებათ კითხვები: როგორი ტანსაცმელია უფრო კომფორტული ბუნებაში? ტყეში? მდინარეზე? საკმრისი არის თუ არა უბრალოდ ჯინსი და სქელი სვიტერი? არის თუ არა საჭირო სპეციალური აღჭურვილობა – „ეკიპიროვკა“? რომელიც პოპულარულია მონადირეებსა და მეთევზეებში. მოცემულ კითხვებზე პასუხი შეგიძლიათ იხილოთ ინსტრუქციაში.

პირველ რიგში, აუცილებელი იცოდეთ, რომ ტანსაცმელი, რომლითაც წახვალთ ლაშქრობაში უნდა იყოს ღია ფერის. რატომ? იმიტომ, რომ მიუხედავად ყველაფრისა ლაშქრობისას შეიძლება საფრთხე დაემუქროს თქვენს სიცოცხლეს. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება შემთხვევით ჩამორჩეს ჯგუფს და დაიკარგოს. ხოლო მისი ძებნა ტაიგაში და ხშირ ტყეებში ძალიან რთულია, ხოლო მუქი ფერის ტანსაცმელი კიდევ უფრო გაართულებს ამ პროცესს. ამიტომაც სიფრთხილეს თავი არ სტკივა და მაინც შეეცადეთ ისეთი ფერის ტანსაცმელი გეცვათ, რომ ადვილი დასანახი და შესამჩნევი იყოთ.

ყველაზე კარგი ქურთუკი საზაფხულო ლაშქრობებისათვის არის წყალგაუმტარი, თუმცა მიუხედავად ამისა, მის შიგნით არსებული სპეცილური საფარის საშიალებით კანი ისუნთქებს, მას „მემბრანას“ ეძახიან. ასეთუ ქურთუკები რა თქმა უნდა ჩვეუკებრივ ანალოგებზე ძვირი ღირს. თუმცა ლაშქრობის მოყვარულებისთვის, ის მასში გადახდილ ფასს სრულად გამოისყიდის პირველივე წვიმის დროს.

შარვალი ზაფხულის ლაშქრობისთვის უნდა იყოს მაქსიმალურად კომფორტული და მოხერხებული. ის, აუცილებლად მალე უნდა შრებოდეს დასვლების შემთხვევაში. ჩვეულებრივი ჯინსის და „კამუფლაჟური“ შარვლები ვერ აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს, ისინი მძიმეები არიან და გვიან შრებიან.

ლაშქრობის დროს, რომელიც რამდენიმე დღე ან კვირა გრძელდება, შეიძლება დაგჭირდეთ დასვრილი შარვლის გარეცხვა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მისი დროული გაშრობა, ასევე წვიმის დროს დასველების შემდეგ აუცილებელია მალე შეიძლებოდეს მისი ხელახალი გამოყენება.

ბამბის შემცველი მაისურები დატოვეთ სახლში. მაისურები რომლებიც არის დამზადებული სინთეტიკისგან, არის ბევრად უფრო მოსახერხებელი ლაშქრობისას.

2 კვირიანი ლაშქრობისას, თქვენ გეყოფათ რამდენიმე ცალი ასეთი მაისური, რომელიც არის მსუბუქი, ადვილად ირეცხება და შრება.

სალაშქრო ჩასაცმელებს ამზადებენ მსუბუქ მაგრამ თბილი მატერიისგან – ფლისა-სგან ან მისი ანალოგისგან პოლარისგან. მათი მოდებელი ძალიან ბევრი და არჩევანიც დიდია. 2 კვირიან ზაფხულის ლაშქრობაში დაგჭირდებათ 1 ცალი ფლისკა. თუმცა არ აურიო ეს ტანსაცმელი იმასთან რითიც დადიხართ „პალატკის“ გარეთ, ან რაშიც გძინავთ.

ზოგი არ იყენებს, თუმცა სასურველია, რომ ყოველი შემთხვევისთვის თქვენ გქონდეთ. ქუდის ფორმა, ფერი და დიზაინი შეარჩიეთ გემოვნების მხიედვით. მთავარია, ის იყოს მსუბუქი, რომ არ შეგიქმნათ დისკომფორტი და ატარებდეს ჰაერს.

საცვლებისა და წინდების ფერს არ აქვს მნიშვნელობა. თუმცა გირჩევთ, რომ ისინი იყოს დამზადებული სინტეთიკური მასალისგან, რომელიც მალე შრება. ეს დაგეხმარებთ მათ მალე გარეცხვა-გაშრობაში. რაც შეეხება მათ რაოდენობას, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენი დღით გეგმავთ ლაშქრობაში ყოფნას.

ზაფხულში ძალიან ცხელა, მზე ამ პერიოდში ძალიან აქტიურია და შუადღისას თითქმის შეუძლებელია გარეთ გასვლა, რადგან ტემპერატურა 30 გრადუსს სცდება. იმისათვის, რომ შეიმსუბუქოთ ზაფხულის ცხელი დამღლელი დღეები, კარგი იქნება თუ გაითვალისწინებთ: შეეცადეთ რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროთ ჩრდილში, ეს დაგეხმარებათ, რომ აირიდოთ „მზის დარტყმა“ ანუ ციებ-ცხელება. შეეცადეთ შიშველი თავით არ გახვიდეთ გარეთ. დაგეხმარებათ ყველაფერი, იქნება ეს უბრალოდ ქუდი თუ კეპი, თუ ახალგაზრდა ხარ და თანამედროვე სტილს მისდევ გამოგადგება ბენდენაც კი. არავითარ შემთხვევაში არ ატარო შავი ტანსაცმელი და ნივთები. ისინი ძალიან ატარებენ სიცხეს. უკეთესია თეთრებით იაროთ. ეს ფერი ყველაზე მეტად უშლის ხელს სიცხის გატარებას, გაიხსენებთ არაბეთში და ცხელ ქვეყნებში უპირატესობას რომელ ფერს ანიჭებენ.

არა და არ დალიოთ ისეთი სასმელები როგორიცაა შl ,ჩოლა ,შპრიტე და ასე შემდეგ. ისინი ზიანის მეტს არაფერს მოგაყენებენ. წყალი დალიეთ მშვიდად. ექიმები გვირჩევენ დავლიოთ მანამდე სანამ მოგვწყურდება, ამიტომ ატარეთ ბოთლი წყლით, ან სახლში დადეთ გამოსაჩენ ადგილას. არ დალიოთ სასმელები რომლებიც შეიცვენ კოფეინს. წყალი შეიძლება ჩანაცვლოს ხილმა და ბოსტნეულმა. მაგალითად, მიირთვით კიტრი და თქვენ იგრძნობთ, რომ წყურვილის სუვილი დაიკლებს. ასევე გოგრა (კვახი) შეიძლება იყოს თქვენი დამხმარე. მისი ყიდვა ყველა მაღაზიასა და ქუჩის კუთხეში შეიძლება. ასე, რომ იცოდეთ, ცხელი სასმელების მიღება უფრო მოგიკლავთ სიცხეში წყურვილის გრძნობას, ვიდრე ცივის სმა.

მიიღეთ ცივი შხაპი და იბანავეთ სულ ცივი წყლით. არ დაკავდეთ სპორტით დაღლამდე. არ იაროთ აბანოში. ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მცირე შესვენებები გააკეთეთ სამსახურში. თუ გაქვთ საშუალება წამოწექით რბილ, გრილ საწოლზე და დახუჭეთ თვალები. უარი თქვით ცხელ საჭმელზე. მოერიდეთ ტკბილეულობებს, ნამცხვრებსა და ტორტებს. დალიეთ დღეში მინიმუმ 1 ლიტრი წყალი და საერთოდ უარი თქვით ალკოჰოლზე.

გისურვებთ ბედნიერ მოგზაურობასა და დასვენებას!

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

მართვის მოწმობის ქულათა სისტემის გზამკვლევი – რა დარღვევაზე რამდენი ქულა დაგაკლდებათ?

ნახეთ რა დარღვევაზე რამდენი ქულა დაგაკლდებათ მართვის მოწმობის ქულათა სისტემიდან.

საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე „ფეისბუქის“ პირად გვერდზე მართვის მოწმობის ქულათა სისტემაზე წერს.

„რა სახის დარღვევა რამდენი ქულის დაკლებას გამოიწვევს.

20 ქულა – სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის.

30 ქულა – სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში.

30 ქულა – სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის.

15 ქულა – იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა.

10 ქულა – ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა.

15 ქულა – მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა.

5 ქულა – მოპედით ან მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა.

5 ქულა – სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა.

5 ქულა – იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა.

15 ქულა – იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას.

15 ქულა – იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული.

15 ქულა – სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს.

5 ქულა – იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის დარღვევით.

10 ქულა – სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა ერთი წლის განმავლობაში.

15 ქულა – სამართალდარღვევის მესამედ და შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა ერთი წლის განმავლობაში.

20 ქულა – სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება.

15 ქულა – სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით.

20 ქულა – სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში.

15 ქულა – იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან რომელიც ახორციელებს ესკორტს ან რომელსაც მიაცილებენ.

20 ქულა – სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი.

40 ქულა – სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება.

15 ქულა – სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის.

25 ქულა – აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, 30 ქულა – განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში.

15 ქულა – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

25 ქულა – სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას.

35 ქულა – აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება.

30 ქულა – შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა ან მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა.

5 ქულა – ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა.

20 ქულა – აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა.

20 ქულა – ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა.

25 ქულა – საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება.

30 ქულა – ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება.

25 ქულა – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა.

30 ქულა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება“, – წერს ოგბაიძე.

„საგზაო უსაფრთხოების შესახებ“ კანონი 1-ელი ივლისიდან შევა ძალაში და მართვის მოწმობაზე ქულათა სისტემა ამოქმედდება. ცვლილებების მიხედვით, მართვის მოწმობას 100 ქულა ენიჭება, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამ 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას გამოიწვევს. მართვის მოწმობას ქულები საგზაო მოძრაობის 50-ზე მეტი წესის დარღვევის შემთხვევაში ჩამოაკლდება.

კალენდარული წლის განმავლობაში 100 ქულის ნულამდე შემცირების შემთხვევაში, მძღოლს მართვის უფლება შეუწყდება და მის მისაღებად გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს. ის მძღოლები კი, რომლებიც საგზაო მოძრაობის წესებს არ დაარღვევენ და მართვის მოწმობას წლის განმავლობაში 100 ქულით შეინარჩუნებენ, სახელმწიფოსგან წახალისდებიან. წახალისების ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს ავტომანქანის და სიცოცხლის შეღავათიანი პირობებით დაზღვევა, რა კუთხითაც სახელმწიფო კერძო სადაზღვევო კომპანიებთან იმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ მართვის მოწმობაზე 2017 წლის 1-ელ ივლისიდან მინიჭებული 100 ქულა, ძალაში 2018 წლის 1-ელ იანვრამდე იქნება. 2018 წლიდან კი მართვის მოწმობას კალენდარული წლის განმავლობაში მიენიჭება 100 ქულა.

მძღოლების საყურადღებოდ: როგორ წახალისდებით, თუ წლის განმავლობაში მართვის მოწმობას 100 ქულით შეინარჩუნებთ?

მძღოლები, რომლებიც საგზაო მოძრაობის წესებს არ დაარღვევენ და მართვის მოწმობას წლის განმავლობაში 100 ქულით შეინარჩუნებენ, სახელმწიფოსგან წახალისდებიან. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განუცხადა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული კატეგორიის მძღოლთა წახალისების ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს ავტომანქანის და სიცოცხლის შეღავათიანი პირობებით დაზღვევა, რა კუთხითაც სახელმწიფო კერძო სადაზღვევო კომპანიებთან იმუშავებს.

გარდა ამისა, არჩილ თალაკვაძის თქმით, შესაძლოა კანონმორჩილი მძღოლებისთვის სხვადასხვა პრიზი ან გათამაშებაც დაწესდეს.

„ერთი მხრივ, ჩვენ შემოვიღეთ სანქცია, როდესაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მძღოლს მართვის მოწმობაზე აკლდება ქულა, მაგრამ მეორე მხრივ, იქნება ბევრი მძღოლი, რომელიც მოწესრიგებულად დადის და იცავს წესებს. ვფიქრობთ, სახელმწიფომ ასეთ მძღოლებსაც რაღაც უნდა უთხრას. უნდა უთხრას, პირველ რიგში, მადლობა, მაგრამ დამატებით შესაძლებელია, რომ ქულების სისტემა გამოვიყენოთ მათი წახალისებისთვისაც. ჩვენ ვმსჯელობთ, რომ შესაძლებელი გახდეს ქულების სისტემის დაკავშირება სამედიცინო და ავტომობილის დაზღვევის პირობებთან, მუშაობა იქნება კერძო სადაზღვევო კომპანიებთან, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც წლის განმავლობაში არც ერთი ქულა არ ჩამოაკლდებათ, უფრო შეღავათიანი პირობები შესთავაზონ, როცა საქმე ეხება მათი მანქანებისა და ჯანმრთელობის დაზღვევას. ასეთი მძღოლები, ლოგიკურად გამოდის, რომ პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ უსაფრთხოებას, საკუთარ სიცოცხლეს, საკუთარ ქონებას და სხვის უსაფრთხოებასა და სიცოცხლესაც.

მეორე, ვფიქრობთ ძალიან პოზიტიური იქნება, თუ ყოველწლიური წამახალისებელი აქციაც გვექნება. რა შეიძლება იყოს ეს წახალისება, ამაზე საფიქრალია: ეს შეიძლება იყოს გარკვეული მატერიალური წახალისება, შეიძლება სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთად დააწესონ პრიზები, შეიძლება გათამაშება გაკეთდეს და ა.შ. ფაქტია, რომ ამ მიმართულებით, ახალი კანონმდებლობის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ, როდესაც ჩვენ გვექნება შედეგების პირველი ანალიზი, უკვე შესაძლებელი იქნება პირველი ნაბიჯები დავგეგმოთ“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„საგზაო უსაფრთხოების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლითაც სხვა ახალ რეგულაციასთან ერთად, მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა შემოდის, პარლამენტმა რამდენიმე კვირის წინ დაამტკიცა და ის ძალაში 1-ელი ივლისიდან შევა.

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990160794319817

№ 373 24 / მაისი / 2017 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის"ა" ქვეპუნქტი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზექალაშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563394; 300563332; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" — ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2017 წლის 29 ივნისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2017 წლის 31 მაისიდან 29 ივნისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 — ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 595 903 322; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. №69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი	2998	1) 3445; 2) 429; 3) 30;	57.06.56.133	400000	80000	20000	50
2.	ქ. ყვარელი, სააკაძის ქ.№2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული	წილობრივად	468.4	57.06.59.080.01.501	22588	4518	1130	50
3.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	735	-	57.06.68.649	845	169	42	50
4.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	670		57.06.68.653	707	141	35	50
5.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	775		57.06.68.652	930	186	47	50
6.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774		57.06.68.651	925	185	46	50
7.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774		57.06.68.650	925	185	46	50
8.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	655		57.06.68.644	677	135	34	50
9.	ს.საბუე	2234	-	57.09.57.121	8 000	1600	400	50
10.	ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. №160	წილობრივად	111.5	57.06.57.049.01.505	10035	2007	502	50
11.	ქ. ყვარელი სარიტუალო მომსახურების ბიურო	2034	47	57.06.57.005	8545	1709	427	50
12	ქ. ყვარელი, ყოფილი წყალთა სამმართველო	4814	№1-275; №2-159,25; №3-437,5	57.06.58.170	32000	6400	1600	50
13	ქ. ყვარელი (ყოფ.სახანძრო)	1173	1) 616; 2) 83; 3) 18;	57.06.57.351	78820	15764	3941	50
14	ს.შილდა, „ნეკრესის" შესახვევი	10479 კვ.მ.სასოფლო მიწა (საძოვარი)	-	57.07.63.010	8385	1677	420	50
15.	ს. სანავარდო	200	172	57.05.53.153	4600	920	230	50

ლოტის №	ქონების დასახელება	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
16.	ავტომანქანა „მერსედეს ბენცი" E320	1999	KAX 997	1350	270	68	50

ღირსეული ყვარელელი



ამასწინათ ერთი სასიამოვნო თხოვნა თუ დავალება მივიღე – წერილი-მოგონება უნდა დავწერო სტუდენტობის ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო მეგობარსა და შემდგომში კოლეგაზე, ღირსეულ კაცზე გივი ყოჩიშვილზე.

ჰო, ყვარელს არასოდეს ჰკლებია ღირსეული ადამიანები და ნურც გამოულიოს ნურასოდეს. სამწუხაროდ, გივიმ, უფლის ნებით, ადრე დატოვა თავისი მამული და ოჯახი და ამის გამო ახლა ამ სასიამოვნო თხოვნა-დავალებას თან სდევს მწუხარება ნაადრევი განშორებისა იმდენი ხნის მეგობართან და კოლეგასთან ...

... 1963 წლის სექტემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩარიცხულები პირველად შევხვდით ერთმანეთს. მერე გავიგე, რომ ის ერთი წლით უფროსი იყო ჩემზე, თანაც ჩემსავით ჯარიდან ჩამოსული.

შავტუხა, წარმოსადეგი ჭაბუკი იყო. საუბარში ხშირად პაუზებს აკეთებდა, თითქოს სათქმელ სიტყვას ცხრილში ატარებდა თუ წონიდა კიდეც. ამას რაღაცნაირი სიდარბაისლითა და სიდინჯით აკეთებდა, ნამდვილად ვერ დაუწუნებდა კაცი – ნამდვილი კახელიაო – ასე ასკვნიდნენ ყველანი.

სტუდქალაქში, ჩემდა საბედნიეროდ, გივისთან ერთად ერთ ოთახში აღმოვჩნდი. მერე კი იყო, რაც იყო! იმ შემოდგომას ყველამ კარგად გავიცანით, თუ როგორი იყო ნამდვილი გივი ყოჩიშვილი – უმეტესობასთან უკვე დაძმაკაცებულ-დამეგობრებული.

ყოველივე ამას მისი საუკეთესო თვისებები განაპირობებდა, რასაც ერთგვარი მატერიალურ – ეკონომიკური მხარდაჭერაც ახლდა. მოგეხსენებათ, ყვარლელ ახალგაზრდას, თანაც უაღრესად მშრომელი ოჯახის შვილს, ამის საკმაოდ დიდი შესაძლებლობა ჰქონდა.

შუა შემოდგომას ყვარლიდან რომ დატვირთული ჩამოვიდოდა, ბიჭები მისი ჩამოტანილი ღვინით ვიტკბარუნებდით პირს, ხოლო ჩვენსავე კორპუსში მცხოვრები გოგოები გივის ფუტკრებივით ეხვეოდნენ ყურძნის, ნედლი ჩურჩხელებისა თუ სხვა ნუგბარის გამო.

მაგრამ გივი ოთარაანთ ქრივივით ზოგჯერ მომჭირნეც იყო – ისე გაანაწილებდა და გამოიზოგავდა ამას, რომ თითქმის ყველას შეახვედრებდა. ზოგჯერ ბიჭები გადაუჩხრეკავდნენ კუთხე-კუნჭულს და ძნელად მიაგნებდნენ გადანახულს.

ალბათ ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ გივის მიმართ ერთი სვანი სტუდენტი გოგო უკვე აღარ მალავდა სიყვარულს. მაგრამ ამ პროცესს თვით სტუდქალაქში – ე.წ. „სვანების რესპუბლიკაში“ მცხოვრები სვანი ბიჭები აღუდგნენ წინ.

– ეი, შენ, კახელო! მაგ გოგოს თავი დაანებე, თორემ!.. – აღრჭიალებდნენ კბილებს.

– გივის კი, ყოველივე ამაზე დინჯად და ცალყბად ეცინებოდა. ბოლოს ისე ჩამოყალიბდა, რომ გივი ჩვენი კურსის ეკონომ-გამგებელი შეიქმნა. თუ რაიმე პატარა პიკნიკი მზადდებოდა ე.ნ. გერმანული ანგარიშით, გივის უწევდა ბაზარში გაქცევა – ყველაფერს ეკონომიურად ყიდულობდა, სუფრასაც უმეტესწილად თვითონ გააწყობდა და თამადაც ხშირად თვითონ იყო. მის „ზურგზე გადაიარა“ უნივერსიტეტის დამთავრებისადმი მიძღვნილი ბანკეტის მომზადებამ. ბანკეტი კი მართლაც გრანდიოზული და დაუვიწყარი გამოვიდა. მარტო ის რად ღირდა, რომ ცნობილ პროფესორ-მეცნიერებთან ერთად გვესწრებოდა საბჭოთა კავშირის გმირი იაროსლავ იოსელიანი თავისი რუსი მეუღლით, ხოლო თამადად იყო ცნობილი კოტე ჩოლოყაშვილი, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა.

მოსაყოლი ბევრია, მინდა ყაზახეთში, ყამირზე ჩვენი ყოფნის დღეებიც გავიხსენო, – გივი იქაც ისეთივე დინჯი ლიდერი იყო, არ აჰყვებოდა გურულ-მეგრულ, იმერულ ქალა-ქუცა თანაკურსელების გამოხტომებს, რომლებიც ყველაფერს უკმაყოფილების პროტესტით ხვდებოდნენ და იმ პერიოდში შიმშილობის გამოცხადებისკენაც გვიბიძგებდნენ. გივის ყოველივე ამაზე ირონიულად ეღიმებოდა... ერთი სიტყვით გივი ყველგან იგივედ დარჩა და ახლაც ასეთად მიდგას თვალწინ.

მისი სიცოცხლის მანძილზე გივისთან თითქმის არასდროს გამიწყვეტია მეგობრობა, მაგრამ კიდევ უფრო დავახლოვდით, როცა ის ყვარლის გაზეთის რედაქტორი და ჩემი კოლეგა გახდა, ერთად ვიყავით ბაქოს პარტიულ სკოლაში, სხვა ღონისძიებებზე...

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანმა მძიმე წლებმა რაღაცნაირად გაგვთიშა, ის იმ დროს ავადმყოფობდა, ბოლოს კი მოხდა ის, რაც მოხდა – 60 წლის ასაკში დაგვტოვა ყველა – ოჯახი, მეგობრები, მშობლიური ყვარელი, რომელიც ასე უყვარდა, უყვარდა ყვარელსაც, რადგან გივი მართლაც მისი ღირსეული შვილი იყო, ღირსეული მამა ოჯახის, ღირსეული მოქალაქე თავისი ქვეყნის, ღირსეული წევრი საზოგადოების ... ამიტომაც დატოვა წარუშლელი კვალი ყველა ჩვენთაგანის გულში. ამიტომაც არის ჩემთვის მასზე მოგონების წერა ადვილიც, მაგრამ – ძნელიც, რადგან ყოველივე ეს წარუშლელი დარჩა მხოლოდ ...

წარსული კი ხომ მშობელია აწმყოსი და მომავლისა!..

ალექსანდრე ნეკრასელი (ნეკრასელაშვილი), საგარეჯოს რაიგაზეთ „ივრის განთიადის“ ყოფილი რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, მწერალი

ჩემი სიჭაბუკის მეგობრის, გივი ყოჩიშვილის მოსაგონარი

1963 წლის 1 სექტემბერი.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველკურსელები განსაკუთრებულად ამაღლებული გრძნობით ვაცნობიერებთ, რომ ცოდნის სანატრელ ტაძარში მოვხვდით. ცოტათი დაბნეულები, სრულიად გამოუცდელები, ცნობისმოყვარეობით შევყურებთ ერთმანეთს და ვგრძნობთ, ჩვენს ცხოვრებაში რაღაც უჩვეულო, აუხსნელი სიახლე დგება.

ვდგავართ მოლოდინის რეჟიმში 93-ე აუდიტორიის წინ, ფართო დერეფანში და ფარული ინტერესით ვათვალიერებთ ერთმანეთს. შეკრებილთა (არც ერთი არ ვიცნობთ ერთმანეთს) ყურადღებას იქცევს მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი ახოვანი, გრუზაქოჩრიანი ახალგაზრდა. იგი სერიოზულობით, სიდინჯით და ცხოვრებისეული გამოცდილებით აშკარად გამოირჩევა. ნუთუ ესეც სტუდენტია? ვეკითხები საკუთარ თავს ... ამასობაში გვიხმეს. 42 პირველკურსელი გადავთვალე. ხაზგასმული ქცევის მანერით, დინჯად, გამოზომილი ნაბიჯებით ეს ახალგაზრდა კაცი ჩვენს შორის უკანა მერხზე იკავებს ადგილს ...

ცოტა ხანში აუდიტორიაში მეფური ნაბიჯებით შემოვიდა სასიამოვნო გარეგნობის კაცი, მაღალი, პეწიანი მიხვრა-მოხვრით, პირზე ჯოკონდას ღიმილით. გაგვაოცა მისმა თავაზიანობამ, თავმდაბლობამ, სითბომ და განუმეორებლად ღიმილიანმა სახემ.

ეს კაცი იყო დიდად პატივცემული პიროვნება, ფაკულტეტის დეკანი, აკადემიკოსი შოთა მესხია (იმხანად 47 წლის).

ბატონი შოთა გვეცნობა, დაწვრილებით ინტერესდება თითოეული ჩვენთაგანით, ხოლო მის შეკითხვებთან ერთად ჩვენც ვეცნობოდით ერთმანეთს.

შემდეგ მიმოხილვით ლექციას გვიტარებს, ზოგადად ეხება უნივერსიტეტის სტრუქტურას, საგანმანათლებლო ტრადიციებს საქართველოს მდიდარი ისტორიის მანძილზე, სტუდენტთა ქცევის წესებზე, უფლება მოვალეობაზე და ა.შ. თავი ზღაპრულ სამყაროში გვგონია...

მოგეხსენებათ ეს ის პერიოდია, როცა იმ ავბედით სსრკ კანონმდებლობის წყალობით კურსის ორი მესამედი შრომითი ორწლიანი სტაჟის მქონე (ე.წ. სტარიკები) და უსტაჟო აბიტურიენტებით კომპლექტდებოდა.

ყველამ ერთმანეთი გავიცანით ჯერ-ჯერობით მხოლოდ სახელით და გვარით, რიგრიგობით ვეცნობით ერთმანეთს.

გივი ყოჩიშვილი — გვეცნობა „სტარიკი“ მეზღვაური. (ხუმრობით გავიფიქრე სად კახელი კაცი და სად ზღვაოსნობა მეთქი).

გივიმ იმთავითვე გამოავლინა ლიდერობის თვისებები, სიტუაციისადმი ალღოს აღება, გაწონასწორებული ხასიათის ფსიქიკა, დათმობის ხელოვნება, სულგრძელობა, უანგარობა, თითოეულისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

იმავე დღეს გვარდება ორგანიზატორული საკითხები. უნდა ავირჩიოთ ე.წ. „ჯგუფხელი“. ყველა ერთმანეთს ვუყურებთ — ვინ, ვინ და ერთ აზრზე ვთანხმდებით. ალბათ „სტარიკი“ მეზღვაურყოფილი — გივი ყოჩიშვილი.

გივი მოულოდნელად უარს აცხადებს თავის კანდიდატურაზე და იქვე მე მასახელებს. თან დასძენს „იმედია ყველანი მხარს დაუჭერთ და გვერდში ამოუდგებით საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებაში, ჩვენი ომცროსი მეგობარი (ე.ი. მე) იმედია არ შეგვარცხვენს, თავს გაართმევს ამ მოვალეობას.

მე... მე... დაბნეული ვარ. ჩემთვის მოულოდნელია ყოველივე. ეს ასაკით პატარები, ე.წ. „უსტაჟოები“ უმცირესობას წარმოვადგენდით კურსზე. გივი მეგობრულად მეხვევა, მართმევს ხელს და მილოცავს (უხარია, რომ მის მიერ დასახელებულ კანდიდატურას წინააღმდეგობა არ შეხვედრია) და მამხნევებს, ნუ გეშინია, ყველაფერში მოგეხმარებითო.

ეს იყო ჩემი პირველი გაცნობა ამ კაცთან და ჩემი პირველი დადებითი შთაბეჭდილება ამ კაცზე, გივი ყოჩიშვილზე. გივი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა არა მარტო სტუდენტობაში, არამედ მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე.

გივი ყოჩიშვილი მართლაც ყოჩი იყო მთელ კურსზე და თუ არ გადავაჭარბებ ფაკულტეტზე...

ერთი ეპიზოდი სტუდენტობის პერიოდიდან: ჩვენი კურსის ბიჭები 1965 წელს მონაწილეობას ვღებულობდით ყაზახეთში, ყამირი მიწების ათვისებაში. მოვხვდით ჩრდილოეთ ყაზახეთში იავლენკოს რაიონის სოფელ ტალაკპრეში, სადაც ჩაგვაბარეს სამშენებლო ობიექტი — მეცხოველეობის ფერმის 250 მეტრიანი კაპიტალური კორპუსი. ბრიგადირი, სამუშაოთა მწარმოებელი, თუ მუშაც კურსელების ხელმძღვანელი გივი ყოჩიშვილი გახლდათ. სწორედ მან მიგვაჩვია მხედრულ დისციპლინას. უჩვეულო სიცხეში ძნელი იყო მუშაობა, ამიტომ დილის 6 საათზე ობიექტზე უნდა ვყოფილიყავით. გივი ჯარში მიღებული წრთობით და გამოცდილებით 5 საათზე დგებოდა და მბრძანებლური ხმით შემოგვძახებდა „პადიოომ“!!! ხუმრობით ხან მოლას ვეძახდით და ხან რას. ვცდილობთ თავი გამოვიჩინოთ და არ ჩამოვრჩეთ სხვა ბრიგადებს. (ბრიგადები ყალიბდებოდა კურსების მიხედვით და მუშაობდნენ სხვადასხვა ობიექტებზე) კერძოდ, მეზობელ სოფელ ჟიკი კულში. ის დროა, რომ საძირკველი ამოვიყვანეთ, ცემენტხსნარით გადავაპრიალეთ და აუტანელი სიცხისგან (წყალი დეფიციტია) დაოსებულს გრილი ფუნდამენტი მესიამოვნა და ზედ გაოფლილი წამოვწექი და ... შედეგი, ფილტვების ანთება, უჩვეულოდ მაღალი სიცხე და გივის საზრუნავი მოვუმატე. გვერდიდან არ მცილდება, თან მტუქსავს, თან მარიგებს. მისი შენიშვნა და საყვედური მოყვასი მეგობრის შენიშვნა და საყვედური იყო. როგორც კი მოვმჯობინდი, გივი კურსელებს შეუთანხმდა და მე როგორც სუსტი და გამოუცდელი „გამრიცხეს“... თან საშბარეულოში მიმიჩინეს ადგილი — შეფ მზარეულის დამხმარედ. (ვაღიარებ, რომ როგორც მშენებელი, ვერ გამოვდექი — „ზედმეტი ბარგი“ აღმოვჩნდი, სამაგიეროდ მზარეულობა კარგად ავითვისე... და20 თუ 25 კილო მოვიმატე.

გივი ყოჩიშვილი იყო ინიციატორი, როცა სისტემატურად ტარდებოდა ბრიგადებს შორის შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, ფეხბურთსა და ფრენბურთში.

ყამირი წარმატებით დავამთავრეთ და ამაში ლომის წილი გივის დამსახურება გახლდათ. იგი ყველაფერში სამაგალითო იყო ჩვენთვის.

1967 წელია. 5 წლიან პროგრამას 4 წელიწადში ვამთავრებთ და ერთდროულად 2 დამამთავრებელი კურსის გამოშვება იგეგმება. წინაა დიპლომების დაცვა და სახელმწიფო გამოცდები. მე არ ვჩქარობდი და ცოტა ვზარმაცობდი. თითქოს უფრო მაინტერესებდა სხვები როგორ იცავდნენ თავიანთ დიპლომებს. გივი ყველა კურსელზე ზრუნავდა და ყველაფერს აკეთებდა, რომ წარმატებით ჩაგვებარებინა სახელმწიფო გამოცდები და დაგვეცვა დიპლომები. გივის მახვილ თვალს არ გამორჩენია ჩემი „სიზარმაცე“ და საყვედურთან ერთად უნივერსიტეტში მისვლა „ამიკრძალა“, სანამ აკინძულ დიპლომს არ ჩავაბარებდი დეკანატში. ასევე აკონტროლებდა სხვებსაც. ყველას პასუხისმგებლობას თვითონ იღებდა თავის თავზე.

უნივესიტეტი წარმატებით დავამთავრეთ 1967 წელს და ჩვენი ცხოვრების გზებიც გაიყარა. იმავე წელს როდესაც მამა გარდამეცვალა, ზუგდიდში გივი მწუხარე ჟამს გვერდში დამიდგა. ეს ჩემთვის საოცრად გაგამხნევებელი აღმოჩნდა, ეს იყო თანადგომის, მეგობრობის, სიყვარულის დიდი ადამიანური თვისება, რომლითაც ასე უხვად იყო ბუნებისგან დაჯილდოებული. და ეს შემთხვევით არ ყოფილა. იგი აღიზარდა ტრადიციულ, მამაპაპურ ქართულ ოჯახში. ყვარელში, სადაც ხშირად გვეპატიჟებოდა და ოჯახიც სიხარულით ხვდებოდა ყოველ ჩვენს სტუმრობას, სწორედ მამაპაპური ტრადიციების გაგრძელება გახლდათ, რომ შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი, გვერდში ამოიყენა საყვარელი მეუღლე და აღზარდა შვილები.

სამწუხაროდ, ნაადრევმა სიკვდილმა არ მისცა საშუალება ბოლომდე დამტკბარიყო ნაშრომ-ნაღვაწით. ოჯახური ტრადიცია კი გრძელდება...

გივი ყოჩიშვილის სახელი მარად დარჩება მომდევნო თაობების ხსოვნაში...

იური შანავა,
თანაკურსელი მეგობარი

9 მეთოდი, თუ როგორ გამოვიყენოთ ამჟავებული რძე

ამჟავებული რძის სუნი დილით კაპუჩინოსა და ფაფის გარეშე გვტოვებს, მაგრამ ნუ იჩქარებთ მის გადაღვრას. გთავაზობთ ამჟავებული რძის გამოყენების რამდენიმე მეთოდს.

1. გამოაცხვეთ ბლინები

მჟავე რძე იდეალურია ცხობისთვის. ფუნთუშა, ბლინები, ოლადიები – უამრავი რეცეპტი არსებობს – არჩევანი თქვენზეა.

2. მოამზადეთ კრემ-სუპი

მჟავე რძე შესანიშნავია სქელი სუპპიურეების მოსამზადებლად.

3. ხორცის მარინადი

მჟავე რძეში დამარინადებული ხორცისგან უგემრიელესი კერძები გამოდის.

4. დაამზადეთ ყველი ან ხაჭო

მჟავე რძისგან შეგიძლიათ ყველის ან ხაჭოს დამზადება. გააცხელეთ 90 გრადუსამდე, დაამატეთ ძმარი და ნელ-ნელა ურიეთ. დაწურეთ, დაამატეთ მარილი, ცოტაოდენი ნაღები – ხაჭო მზადაა.

5. როგორც კოსმეტიკა

გაფუჭებული რძის მჟავა სასარგებლოა კანისთვის. შეურიეთ რძე და წყალი და ფრთხილად შეიზილეთ კანზე. შემდეგ ჩამოიბანეთ სახე გრილი წყლით.

6. დაამატეთ აბაზანაში

ერთი-ორი ჭიქა ამჟავებული რძე დაამატეთ აბაზანაში – ეს სხეულზე საოცარ ეფექტს მოახდენს.

7. მცენარეების სასუქი

მჟავე რძე ასევე სასარგებლოა ოთახის მცენარეებისათვის. შეურიეთ მას წყალი და მორწყეთ მცენარეები.

8. მოამზადეთ სალათის სანელებელი

ნაღების სანელებლის მომზადება კარგია სქელი ამჟავებული რძისგან.

9. შინაური ცხოველების საკვები

მჟავე რძე შესანიშნავი დანამატია შინაური ცხოველების საკვებში. შეურიეთ რძე ძაღლების ან კატების საკვებს, ამგვარად ცილისა და კალციუმის დამატებით ულუფას მიიღებენ.

ბონუსი. რძე რომ არ ამჟავდეს, გაყინეთ.

თუ დიდი რაოდენობით რძე შეიძინეთ, უბრალოდ, მოათავსეთ საყინულეში. როდესაც კვლავ დაგჭირდებათ, მოათავსეთ მაცივარში – გალღობისთვის ერთი ღამე საკმარისია.

გულიზა ბუჯიაშვილის გახსენება

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ. უსაშველოდ გვენატრები. უსაზღვროა შენი მონატრება, რა მძიმეა ცხოვრება უშენოდ, რა მოუშუშებელი ჭრილობა, გულში სევდა-ნაღველი და ცრემლიანი თვალები დაგვიტოვე ყველას, ჩემო გულიზა; მოფერებით გულს გეძახოდნენ შენი საყვარელი დები, დისშვილები.

შენ ხომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობდი, ყველგან სიკეთეს და სიყვარულს თესდი. შენს ირგვლივ ყველაფერი მშვენიერი, ლამაზი და ამაღლებული იყო, რადგან შენ თვითონ ქმნიდი განწყობილებას. ოთხი წელი ვაუკაცურად გაუძელი შენს ავადმყოფობას. ტელეფონზე რომ დაგირეკავდნენ. გულა, როგორ ხარო, ომახიანად პასუხობდი — ძალიან კარგად ვარო. თან საყვედურს ეუბნებოდი — მითხარით, გულა რას შვრებიო? არ გინდოდა დაგეჯერებინა, რომ უკურნებელი სენი გჭირდა. შენი გაზრდილი, საყვარელი ობოლი დისშვილები ჯამბული და მაია, შენი დისშვილები ნინო, ნათია, უჩა არაფერს არ გაკლებდნენ, რომ სიცოცხლე გაგეხანგრძლივებინა. ნინო ექიმია და საუკეთესო ექიმების ხელში იყავი. ნინომ და მაიამ სტამბულშიც წაგიყვანეს, მაგრამ ბუნებით ჯიუტი იყავი, ექიმები არ გიყვარდა და სტამბულიდან გამოექეცი, მათზე ადრე ჩამოფრინდი თბილისში. 1 აპრილი შენი საყვარელი დის, ნათელას დაბადების დღე იყო. იმდენად გიყვარდა შენი და, რომ ქალს, რომელიც შენ გივლიდა, ნათელას ეძახდი. ნინო თავისი ბავშვებით ჩამოვიდა თბილისიდან შენს სანახავად. რა ბედნიერი სახე გქონდა, მაშინ. ნინო ხომ გეფერებოდა, შენი დიდრონი თვალებით სიხარულით შეჰყურებდი შენს დისშვილს. შენ მაინც ბედნიერი ქალი იყავი, ამაგი დაგიფასდა, ყველა თავზე გევლებოდა, თავადაც ხომ თბილი და მოსიყვარულე იყავი. ახლა დიდი სასჯელია მათთვის მხოლოდ ცივი ქვის და ფარატინა სურათის ყურება.

2017 წლის 5 აპრილი საბედისწერო დღე აღმოჩნდა შენთვის. იმ დღეს, 63 წლის ასაკში დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე და შენმა სულმა მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა. ერთი რამ გვაიმედებს, რომ ასეთი ამაღლებული სულით აუცილებლად დაიმკვიდრებ ცათა სასუფეველს. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი სული. ჩვენ კი ვილოცებთ და წმინდა

სანთლებით გაგინათებთ გზას. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ყვარლის მიწა, ჩემო გულა.

მერი ხარებაშვილი

ხელბურთი — უმაღლესი ლიგა

ჩემპიონებს, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ილია მზექალაშვილი მოადგილეებთან ერთად შეხვდა, გამარჯვება მიულოცა და ფასიანი საჩუქრები გადასცა. გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადასცა კახეთის რეგიონის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმაც.

ზურაბ ხარებაშვილისა და გოჩა ღონიაშვილსა მიერ გაწვრთვნილი გოგონები ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულები უკვე მეორედ გახდნენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამი წელია, რაც საქართველოს ჩემპიონატი იმართება პლიაჟის ხელბურთში და გოგონათა გუნდი იგივე შემადგენლობით უკვე სამგზის უცვლელი ჩემპიონია.

უმაღლესი ხარისხის მედლები ქვეყნის ჩემპიონატიდან

მედალი ევროპის ჩემპიონატიდან

როგორც სასპორტო სკოლიდან გვაცნობეს, მიმდინარე წლის 2-7 მაისს საბერძნეთის ქალაქ ნოვი-სადში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამ ჩემპიონატზე იცავდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილი ზურაბ იაკობიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი მისთვის იღბლიანი გამოდგა. მას ნაკრების მწვრთნელები წინასწარვე მედალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ რა სინჯისა იქნებოდა ეს მედალი, ზურაბის ჭიდაობაზე იყო დამოკიდებული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ძალიან ძლიერი ქვეჯგუფი შეხვდა. მიუხედავად ამისა, მან 65 კგ. წონით კატეგორიაში ზედიზედ დაამარცხა მასპინძელი — სერბი, გერმანელი და გასული წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი თურქი, მუსტაფა კაია და გავიდა ნახევარფინალში.

ამ შეხვედრების შემდეგ ზურაბი ისევ გამოიძახეს ხალიჩაზე ფინალში გასასვლელი შეხვედრის ჩასატარებლად რუს მოჭიდავე ბეკბულატოვთან; აქ კი თავი იჩინა იმ გარემოებამ, რომ ზურაბს ძალიან მოკლე დროში მოუწია ძლიერ მოჭიდავეებთან შეხვედრა და ვერ მოასწრო სათანადო დასვენება, სამწუხაროდ, მან ეს შეხვედრა დათმო და დაგვიტოვა ბრინჯაოს მედლის მოპოვების იმედი.

მართლაც მესამე ადგილისათვის შეხვედრა მან დამაჯერებლად მოუგო აზერბაიჯანელ მოჭიდავეს და ღირსეულად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

ვულოცავთ ზურაბს და მის პირად მწვრთნელს გივი მეტრეველს ამ დიდ წარმატებას.

წინ მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც აგვისტოს თვეში ჩატარდება საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში. იმედია ზურაბი კვლავ გაგვახარებს.

მწვრთნელები: გ. მეტრეველი, ვ. ჭანტურიძე, მ. როზომაშვილი.

დალი ტატულიშვილი

გიორგი ლაფერაშვილი ტურნირის პრიზიორია

მიმდინარე წლის 3-5 მაისს ქ. ქუთაისში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი კრივში.

ტურნირში მონაწილეობას იღებდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი, ახალსოფლის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი ლაფერაშვილი.

ნახევარფინალამდე მან ჩვეული ოსტატობით ჩამოიცილა მოწინააღმდეგეები. ნახევარფინალში იგი დაუპირისპირდა ახალგაზრდებში, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, აზერბაიჯანელ ამიდ ალიზადეს და მეტად დაძაბულ ბრძოლაში მცირე უპირატესობით დათმო შეხვედრა და მესამე ადგილს დასჯერდა. (მწვრთნელები: ფარნაოზ მაისურაძე, ზურაბ ტოსტიაშვილი).

გიორგი პერსპექტიული მოკრივეა და იმედია შემდგომ ტურნირებში შთამბეჭდავ გამარჯვებებს მოიპოვებს.

ალექსანდრე გიგილოშვილი

ღირსი დედა თამარ აღმსარებელი

14 მაისი ქართველთა გვირგვინოსანი წმინდა თამარის ხსენების დღეა. გაზაფხულის ამ უსამაზედ დღეს ყვარელში განსაკუთრებული განწყობა სუფევდა.

ნეკრესის ეპარქიის მმართველ, მიტროპოლიტ სერგის კურთხევით აღინიშნებოდა წმინდანად შერაცხული დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწის, სქემიღუმენია თამარ მარჯანიშვილის, დედა თამარის ხსენების დღე.

პარაკლისს აღავლენდა ჭავჭავაძიანთა საგვარეულო იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის დეკანოზი მამა ბენიამინი (ჩიხორლიშვილი).

ეკლესია ვერ იტევდა ბერმონაზონთა სიმრავლეს, რომლებიც მობრძანებულიყვნენ ბოდბეს წმინდა ნინოს, მცხეთის სამთავროს წმინდა ნინოსა და დუბის დედათა მონასტრებიდან. სულთათანა გადმოსულიყო მრევლზე. ხეთა ფოთოლთა შრიალიც შეჩერებულიყო. ჭავჭავაძეებისა და მარჯანიშვილების ღირსეული შვილის, დედა თამარის ბავშვობა, ყრმობა და მოწამეობრივი ცხოვრება ცოცხლდებოდა იქ მყოფთა შორის. საზოგადოების ინტერესს ამძაფრებდა დედა თამარის მიერ დაარსებული სერაფიმე — ზნამენსკის დედათა სავანის დღევანდელი წინამძღვრის, დედა ინოკენტიას იქ ყოფნა.

ტკბილად იქადაგა მეუფე სერგიმ.

იმავე დღეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის მცირე დარბაზში ქალბატონმა თამარ ზურიაშვილმა დედა თამარის მოსაგონებელი საღამო გახსნილად გამოაცხადა. ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო სქემიღუმენია თამარ მარჯანიშვილის საზოგადოების აქტიური წევრი ქეთევან სურმავა, რომელმაც საოცარი მჭევრმეტყველებით წარმოადგინა დედა თამარის მოწამეობრივი ცხოვრების გზა სამშობლოსაგან შორს — რუსეთში. ქალბატონი ქეთევანის საუბარს ერთვოდა დედა თამარის ცხოვრების ამსახველი კადრები.

მარჯანიშვილთა ოჯახზე ისაუბრა კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა მზიური ანასაშვილმა. ღონისძიებაზე საგანგებოდ ჩამოსულმა დედა ინოკენტიმ წარმოთქვა დედა თამარის ტროპარი და ვრცლად ისაუბრა სასწაულებზე, რომელსაც დედა თამარის სული ავლენს მლოცველებზე.

დარბაზში ერთმანეთს ენაცვლებოდა კულტურის სახლთან არსებული ბიჭუნების სიმღერის გუნდი „ხეურო“ მომღერალ ქალთა გალობასა და სიმღერას. პოეტმა მედეა შავლიაშვილმა წაიკითხა დედა თამარისადმი მიძღვნილი ლექსები.

დარბაზში საოცარი ემოცია სუფევდა. დედა თამარის წამების გზა ცრემლის გარეშე ძნელი მოსასმენი აღმოჩნდა, თუმცა ეს იყო ბედნიერების ცრემლიც ტანჯვის გზით მავალი იმ ერის თვალთაგან გადმოღვრილი, რომელმაც იცის თავისი ღირსეული შვილის ფასი.

ყვარლის იოანე ნათალისმცემლის შობის სახელობის ეკლესიის მრევლი

20 შემთხვევა, როცა ძმარი შეუცვლელია

ძმარი ყველა ოჯახში მოიძებნება, მისი გამოყენების უჩვეულო წესებს კი ჩვენ გასწავლით.

1. მოგაშორებთ სარეველას. გადაზავეთ თანაბრად წყლით და მოასხურეთ მიწას.

2. სამოსიდან ლაქების მოსაშორებლად გარეცხვამდე 10 წუთით ადრე ლაქას დაასხით ძმარი. გააჩერეთ 10 წუთი და გარეცხეთ.

3. ანგინის დროს თბილ წყალში გახსენით 1 სადილის კოვზი ვაშლის ძმარი და გამოივლეთ ყელში.

4. დაბანის შემდეგ თმაზე გადაივლეთ ძმრიანი წყალი (500 მლ წყალზე 1 ს/კ ძმარი). თმა ფაფუკი და დამყოლი გახდება.

5. თუ ვარჯიშის შემდეგ კუნთები დაგეჭიმათ, ძმრის 20-წუთიანი კომპრესი გაიკეთეთ (1 ჭიქა წყალში გახსენით 2 ს/კ ძმარი).

6. სამოსს რომ ფერი შეუნარჩუნოთ, სარეცხის მანქანაში 0,5 ჭიქა ძმარი დაუმატეთ.

7. თუ შენობაში უსიამოვნო სუნი გაჩნდა, კუთხეები და ზედაპირები ძმარში დასველებული ჩვრით გაწმინდეთ.

8. ფუნჯიდან გამხმარ საღებავს მოაცილებთ, თუ მას ძმარში დაასველებთ.

9. თუ ჭიანჭველები გაწუხებენ, მათი თავშეყრის ადგილზე ძმარი მოასხურეთ.

10. სლოკინმა თუ შეგაწუხათ, ძმარში შაქრის ნატეხი დაასველეთ და მოწუწნეთ.

11. წებოვანი ეტიკეტის მოსაცილებლად ღრუბელი ძმარში დაასველეთ და გაწმინდეთ. წებოვანი კვალი არ დარჩება.

12. ჟანგის მოსაცილებლად რკინის ნივთები (ჭანჭიკები, ლურსმნები) წამოადუღეთ ძმარში და კარგად გარეცხეთ.

13. კონტეინერები და უჯრები, სადაც საკვებს ინახავთ, პერიოდულად გაწმინდეთ ძმრით უსიამოვნო სუნისა და ობის საწინააღმდეგოდ.

14. თუ ჩაიდანს ან ყავადანს ნადები გაუჩნდა, ჩაასხით მასში ძმარი და წამოადუღეთ.

15. თუ წვნიანი გადაამლაშეთ, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი.

16. ქრომირებული, პლასტიკატისა და მინის გაჭუჭყიანებული ნივთები ძმრიანი ჩვრით გაწმინდეთ.

17. თაიგულს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებთ, თუ წყლიან ვაზაში, 1 ლიტრ წყალზე 2 ს/კ ძმარს დაუმატებთ.

18. ფეხიდან სოკოს მოსაცილებლად ყოველდღიურად გაიკეთეთ 15-20-წუთიანი ძმრის აბაზანა (1:5).

19. ხორცის დასარბილებლად და მწვადისთვის მარინადის მოსამზადებლად 2 ჭიქა წყალს დაუმატეთ 1 ჭიქა ძმარი და სანელებლები.

20. თუ სამზარეულოში მილები გაიჭედა, ჩაყარეთ 3/4 სოდა, დაასხით 1/2 ძმარი. 30 წუთის შემდეგ ჩაასხით მდულარე წყალი. მილებში წყალი შეუფერხებლად გაივლის.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86